საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

შრომის ბაზრის ანალიზი
2023

სარჩევი

შესავალი 6

შრომის ბაზრის სტატისტიკა 6

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა 6

უმუშევრობა 7

დასაქმება 11

ხელფასი 14

მიგრაცია 16

კერძო სექტორის როლი დასაქმების მაჩვენებლებში 17

დასაქმება სექტორულ ჭრილში 18

მრეწველობა 19

მშენებლობა 20

ვაჭრობა 22

სოფლის მეურნეობა 22

ტრანსპორტირება და დასაწყობება 24

უძრავი ქონება 25

სასტუმროები და რესტორნები 26

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები/პროექტები და მოთხოვნა ახალ პროფესიებზე 28

HR.GE-ზე 2022 წელს გამოქვეყნებული ვაკანსიების მიმოხილვა 32

ძირითადი ჯგუფი: მომსახურების სფეროსა და სავაჭრო დაწესებულებების მომსახურე პერსონალი 34

ძირითადი ჯგუფი: ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები 40

ძირითადი ჯგუფი: ოფისის დამხმარე პერსონალი 42

ძირითადი ჯგუფი: დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი 43

ძირითადი ჯგუფი: ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები 45

ძირითადი ჯგუფი: სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები 46

ძირითადი ჯგუფი: მენეჯერები 47

ძირითადი ჯგუფი: სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები 49

2022 წელს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (WORKNET.GOV.GE) დარეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა და გამოქვეყნებული ვაკანსიების ანალიზი 50
შრომის ბაზრის საკითხებზე ჩატარებული კვლევების მიმოხილვა 54
დასკვნა 57
რეკომენდაციები 58

დიაგრამა 1 ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა და დონე 7
დიაგრამა 2 უმუშევრობის დონე და უმუშევართა რაოდენობა..... 8
დიაგრამა 3 უმუშევართა რაოდენობა და უმუშევრობის დონე სქესის მიხედვით..... 8
დიაგრამა 4 უმუშევრობის დონე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით..... 9
დიაგრამა 5 უმუშევრობის დონე ქალაქად და სოფლად..... 10
დიაგრამა 6 უმუშევრობის დონე რეგიონების მიხედვით 11
დიაგრამა 7 დასაქმებულთა რაოდენობა და დასაქმების დონე..... 12
დიაგრამა 8 დასაქმების სტრუქტურა 12
დიაგრამა 9 დასაქმების დონე სქესის მიხედვით 13
დიაგრამა 10 დასაქმებულთა რაოდენობა (ათასი კაცი) და დონე (%) სექტორების მიხედვით 13
დიაგრამა 11 დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი სქესის მიხედვით..... 14
დიაგრამა 12 მედიანური და საშუალო თვიური ხელფასი..... 15
დიაგრამა 13 მიგრაციული სალდო..... 16
დიაგრამა 14 დასაქმებულთა რაოდენობა ბიზნეს სექტორში..... 17
დიაგრამა 15 დასაქმებულთა რაოდენობა და ერთ დასაქმებულზე დამატებული ღირებულება სექტორების მიხედვით..... 18
დიაგრამა 16 დასაქმებულთა რაოდენობა მრეწველობის სექტორში (განაწილება საწარმოთა ზომების მიხედვით) 19
დიაგრამა 17 შრომის ანაზღაურება მრეწველობის სექტორში დარგების მიხედვით 2022 წ..... 20
დიაგრამა 18 მშენებლობის სექტორში დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომების მიხედვით 21
დიაგრამა 19 შრომის ანაზღაურება მშენებლობის სექტორში, ₾ 21
დიაგრამა 20 დასაქმებულთა რაოდენობა და საშუალო ხელფასი ვაჭრობის სექტორში 22
დიაგრამა 21 დასაქმებულთა რაოდენობა და საშუალო ხელფასი სოფლის მეურნეობაში, ₾..... 23
დიაგრამა 22 ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომის მიხედვით 24
დიაგრამა 23 ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი (2021)..... 25
დიაგრამა 24 უძრავი ქონების სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა და საშუალო თვიური ხელფასი, ₾..... 26
დიაგრამა 25 სასტუმროებსა და რესტორნებში დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომის მიხედვით 27
დიაგრამა 26 სასტუმროებსა და რესტორნებში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი, ₾ 27
დიაგრამა 27 HR.ge-ზე 2021-2022 წლებში გამოქვეყნებული ვაკანსიების შედარება ... 32

დიაგრამა 28 HR.ge-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიები ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით (2022 წ) 33
დიაგრამა 29 2021-2022 წლებში დამსაქმებლების მიერ დარეგისტრირებული ვაკანსიები და პროცენტული ცვლილება ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით 50
დიაგრამა 30 2021-2022 წლებში დამსაქმებლების მიერ დარეგისტრირებული ვაკანსიები და პროცენტული ცვლილება ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით 51
დიაგრამა 31 2022 წელს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში დარეგისტრირებულები სქესის მიხედვით 52
დიაგრამა 32 2022 წელს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში დარეგისტრირებულთა რაოდენობა და წილი რეგიონების მიხედვით 52

შესავალი

საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას უმუშევრობის შემცირება და შესაბამისად დასაქმების ზრდა წარმოადგენს, რაც ამასთანავე ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების ზრდის მიმართულებით ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის განსახორციელებლად, მნიშვნელოვანია უმუშევრობისა და დასაქმების კომპონენტების საფუძვლიანი ანალიზი, როგორც მიწოდების, ასევე მოთხოვნის კუთხით.

წინამდებარე ანგარიში აანალიზებს ქვეყანაში დასაქმებისა და უმუშევრობის მიმართულებით არსებულ ტენდენციებს, მათ შორის სექტორულ, ასაკობრივ, გენდერულ და რეგიონულ ჭრილში. იგი შეისწავლის შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტს და ამასთან განსაზღვრავს იმ ძირითად სექტორებს, რომლებშიც განსაკუთრებით მაღალი ეკონომიკური აქტივობაა მოსალოდნელი მომდევნო წლებში, რაც თავის მხრივ, ამ სექტორებში დასაქმების ზრდის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. ამასთან, ანგარიში მოიცავს როგორც კერძო დასაქმების სააგენტოს (hr.ge) მონაცემთა ანალიზს, ასევე სახელმწიფო დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (worknet.gov.ge) რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებელთა და ვაკანსიების ანალიზს. ანგარიში ასევე მიმოიხილავს საქართველოს შრომის ბაზართან დაკავშირებით არსებულ კვლევებს. ანგარიშის ბოლოს წარმოდგენილია დასკვნა და რეკომენდაციები, რომლშიც მოცემულია საქართველოს შრომის ბაზრის წინაშე მდგარი გამოწვევები და სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ხედვა.

შრომის ბაზრის სტატისტიკა

2022 წელი საქართველოს შრომის ბაზრისთვის მეტად მნიშვნელოვანი წელია, რამდენადაც საქსტატის 2022 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში უმუშევრობის დონის ისტორიულად მინიმალური მაჩვენებელი დაფიქსირდა, ხოლო დასაქმების მაჩვენებლები და დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება კი გაიზარდა.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა

სამუშაო ძალის მიწოდების თვალსაზრისით საყურადღებოა ბოლო წლებში, კერძოდ როგორც 2021, ასევე 2022 წელს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისა და

აქტიურობის დონის ზრდა. ხსენებული ზრდის ტენდენცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როდესაც 2015-2020 წლების განმავლობაში, დაბალი ბუნებრივი მატებისა და გაზრდილი მიგრაციული ნაკადის შედეგად, შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა და აქტიურობის დონე კლებადობით ხასიათდებოდა.

ამრიგად, საქსტატის მონაცემების თანახმად, ბოლო 2 წლის განმავლობაში სახეზეა მზარდი ტენდენცია. კერძოდ, 2022 წელს, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა 1.2%-ით გაიზარდა და 1,551.6 ათასი კაცი შეადგინა. ასევე, 1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა აქტიურობის დონე და 51.9% შეადგინა.

დიაგრამა 1 ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა და დონე



წყარო: საქსტატი

უმუშევრობა

უმუშევრობის მაღალი დონე წლების განმავლობაში საქართველოს შრომის ბაზრის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში უმუშევრობის დონე შემცირების ტენდენციით გამოირჩევა (მხოლო კოვიდ-პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის წლებში დაფიქსირდა უმუშევრობის დონის ზრდა).

2022 წელს უმუშევრობის დონემ **17.3%** შეადგინა და ისტორიული მინიმუმი დაფიქსირდა, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, 3.3% პროცენტული პუნქტით ნაკლებია. რაც შეეხება უმუშევართა რაოდენობას, 2022 წელს 15.3%-ით შემცირდა და 267.9 ათასი კაცი შეადგინა. ამასთან, უმუშევრობის დონე 2012 წელთან

შედარებით 9.4 პროცენტული პუნქტით, 2012 წლის 26.7%-დან 2022 წელს 17.3%-მდე, შემცირდა.

დიაგრამა 2 უმუშევრობის დონე და უმუშევართა რაოდენობა



წყარო: საქსტატი

უმუშევრობის მაჩვენებლები გენდერულ ჭრილში გვიჩვენებს, რომ უმუშევრობის დონე მამაკაცებში აღემატება ქალებისას. ამის ერთ ერთი გამომწვევი მიზეზი სამუშაო ძალაში მამაკაცებისა და ქალების არათანაბარი ჩართულობაა (მამაკაცები - 64%, ქალები - 41.5%). 2022 წელს წინა წელთან შედარებით, უმუშევრობა შემცირდა როგორც ქალებში, ასევე კაცებში. კერძოდ, 2022 წელს ქალებში უმუშევრობის დონემ 14.6% შეადგინა (97.4 ათასი უმუშევარი), რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 3.4 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება, ხოლო კაცებში არსებული უმუშევრობის დონემ 19.3% (170.5 უმუშევარი) შეადგინა. 2022 წლის მდგომარეობით, კაცებში უმუშევრობის დონე, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 3.6 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული.

დიაგრამა 3 უმუშევართა რაოდენობა და უმუშევრობის დონე სქესის მიხედვით



წყარო: საქსტატი

უმუშევრობის სტატისტიკა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით გვიჩვენებს, რომ მიუხედავად 2022 წელს ყველა ასაკობრივ ჯგუფში უმუშევრობის შემცირებისა, საქართველოს შრომის ბაზრის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად ახალგაზრდების დასაქმება რჩება. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ახალგაზრდები უმეტესწილად ეუფლებიან უმაღლეს განათლებას და სწავლის დასრულების შემდეგ აწყდებიან იმ რეალობას, რომ ერთი მხრივ შრომის ბაზარზე არ არის მოთხოვნა მათ მიერ დაუფლებულ პროფესიებზე; მეორე მხრივ, მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება ვერ აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ახალგაზრდებს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით სჭირდებათ მეტი დრო სასურველი სამუშაოს მოსაძიებლად.

დიაგრამა 4 უმუშევრობის დონე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



წყარო: საქსტატი

2022 წელს წინა წელთან შედარებით უმუშევრობის დონე შემცირდა ყველა ასაკობრივ ჯგუფში. აღსანიშნავია, რომ უმუშევრობის დონის ცვლილება გამორჩეულად მაღალია 15-19 (-4.8%), 20-24 (-3.7%), 25-29 (-5.6%) და 30-34(-4.6%) ასაკობრივ ჯგუფებში.

უმუშევრობის დონის შემცირების ტენდენცია შეინიშნება როგორც **ქალაქში,** ასევე **სოფელში.** 2022 წელს უმუშევრობის დონემ საქალაქო დასახლებებში 18.3% შეადგინა, რაც 3.9%-ით ნაკლები წინა წელთან შედარებით. მოცემულ წელს სასოფლო დასახლებებში უმუშევრობის დონემ 15.7% შეადგინა, რაც 2.5%-ით ნაკლებია წინა წელთან შედარებით.

დიაგრამა 5 უმუშევრობის დონე ქალაქად და სოფლად



წყარო: საქსტატი

აღნიშნულთან დაკავშირებით საყურადღებოა, ის გარემოება რომ საკმაოდ დიდია სხვაობა რეგიონების მიხედვით მთლიანი შიდა პროდუქტისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილების მხრივ, რაც თავის მხრივ აისახება სამუშაო ადგილების შექმნაზე, დასაქმების შესაძლებლობებსა და შრომით მიგრაციაზე. 2022 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 90% (1.884.5 მილიონი აშშ დოლარი) თბილისზე მოდის. ასევე, ქვეყნის მასშტაბით მთლიანი დამატებული ღირებულების ნახევარი თბილისში იქმნება. შესაბამისად, რეგიონების მიხედვით ეკონომიკური აქტივობისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არათანაბარზომიერი განაწილება გავლენას ახდენს შიდა მიგრაციაზე, სამუშაო ძალის მობილობა დედაქალაქისკენ არის მიმართული. თბილისში სამუშაო ძალის მაღალი კონცენტრირება კი თავის მხრივ განაპირობებს უმუშევრობის მაღალ დონეს.

რაც შეეხება **უმუშევრობას რეგიონულ ჭრილში,** აღსანიშნავია, რომ წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით უმუშევრობის დონე შემცირებულია ყველა რეგიონში, მაგალითად თბილისში უმუშევრობის დონემ 2022 წელს 19.5% შეადგინა, რაც 2021 წლის მაჩვენებელთან შედარებით 4.3%-ით ნაკლებია. გამონაკლისი მხოლოდ კახეთის რეგიონია, სადაც უმუშევრობის დონე უმნიშვნელოდ, 0.3%-ით გაიზარდა.

დიაგრამა 6 უმუშევრობის დონე რეგიონების მიხედვით



წყარო: საქსტატი

დასაქმება

აღსანიშნავია, რომ დასაქმების მაჩვენებლები 2022 წელს კვლავ დაუბრუნდა პოზიტიურ ტრენდს და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელებთან შედარებით 5.4%-ით გაიზარდა. დასაქმებულთა რაოდენობამ 1,283.7 ათასი ადამიანი შეადგინა, საიდანაც 56% კაცია, ხოლო 44% ქალი. საკუთრების ფორმის მიხედვით დასაქმებულთა უმრავლესობა არასახელმწიფო სექტორზე მოდის. 2022 წელს არასახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა ხვედრითმა წილმა 76% (975 ათასი კაცი) შეადგინა.

დიაგრამა 7 დასაქმებულთა რაოდენობა და დასაქმების დონე



წყარო: საქსტატი

რაც შეეხება სამუშაო ძალის გამოკვლევაში მეთოდოლოგიის ცვლილებას, საყურადღებოა, რომ აღნიშნულმა ცვლილებამ ყველაზე დიდი გავლენა დასაქმების მაჩვენებლების სტრუქტურაზე იქონია. კერძოდ, შემცირდა დასაქმების მაჩვენებელი და ამის პარალელურად გაიზარდა უმუშევართა რიცხვი, რადგან შინამეურნეობებში ადამიანები, რომლებიც ეწეოდნენ მხოლოდ საკუთარი მოხმარებისათვის შრომას, თვითდასაქმებულის სტატუსიდან გადაკვალიფიცირდნენ უმუშევრად.

დიაგრამა 8 დასაქმების სტრუქტურა



წყარო: საქსტატი

2022 წლის მონაცემების მიხედვით, დაქირავებით დასაქმებულთა წილმა 67.8%, ხოლო თვითდასაქმებულთა წილმა - 32.1% შეადგინა.

დასაქმების მაჩვენებლების **გენდერული** ნიშნით ანალიზი გვიჩვენებს, რომ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად კვლავ ქალებში დასაქმების დაბალი დონე რჩება.

კაცებში დასაქმების დონე საგრძნობლად აღემატება ქალებში დასაქმების დონეს. 2022 წელს წინა წელთან შედარებით კაცებში დასაქმების დონე 3.1% პროცენტული პუნქტით გაიზარდა და შეადგინა 51.7% (714.8 ათასი კაცი), ხოლო ქალებში დასაქმების დონე 2.1% პროცენტული პუნქტით გაიზარდა და შეადგინა 35.4% (568.9 ათასი).

დიაგრამა 9 დასაქმების დონე სქესის მიხედვით



წყარო: საქსტატი

რაც შეეხება ეკონომიკური საქმიანობების სახეების მიხედვით დასაქმებას, დასაქმების მხრივ წამყვან დარგებს წარმოადგენენ: სოფლის მეურნეობა(17.9%), ვაჭრობა (15%), მრეწველობა (11.9%) და განათლება (11.7%), რომელთა ხვედრითი წილი აღემატება ორნიშნა პროცენტულ მაჩვენებელს.

2022 წლის მონაცემებით, დასაქმების მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობების თითქმის ყველა სახეობის მიხედვით არის გაზრდილი. მათგან გამორჩეულია, მშენებლობის სექტორი, სადაც წინა წლის მაჩვენებლებთან შედარებით, ზრდამ 15% შეადგინა. ასევე ორნიშნა ზრდა დაფიქსირდა მრეწველობის სექტორში - 11%.

დიაგრამა 10 დასაქმებულთა რაოდენობა (ათასი კაცი) და დონე (%) სექტორების მიხედვით



წყარო: საქსტატი

ხელფასი

2022 წელს საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი წინა წელთან შედარებით 18%-ით გაიზარდა და 1,543.00 ლარი შეადგინა. 2022 წელს ქალების საშუალო თვიური ხელფასი 1 247.7 ლარით, ხოლო კაცების - 1 827.0 ლარით განისაზღვრა. ხელფასების წლიურმა ზრდამ ქალებში 192.2 ლარი (18.2 %) შეადგინა, ხოლო კაცებში - 289.1 ლარი (18.8%). საქმიანობის სახეების მიხედვით კაცების საშუალო თვიური ხელფასი თითქმის ყველა სექტორში აღემატებოდა ქალების საშუალო თვიურ ხელფასს.

დიაგრამა 11 დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი სქესის მიხედვით



წყარო: საქსტატი

ყველაზე მაღალი საშუალო ხელფასი ინფორმაციისა და კომუნიკაციების სექტორში დაფიქსირდა - 3,033.4 ლარი(წინა წელთან შედარებით გაიზარდა 49.4 პროცენტით), შემდეგ მოდის საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების სექტორი - 2,730 ლარი (წინა წელთან შედარებით გაიზარდა 15.3 პროცენტით) და პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების სექტორი - 2,285 ლარი (წინა წელთან შედარებით გაიზარდა 10.1 პროცენტით).

2022 წელს საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა მედიანური ხელფასი გასულ წელთან შედარებით 15.6%-ით გაიზარდა და 1,040 ლარი შეადგინა, რაც საშუალო თვიურ ხელფასზე 32.6%-ით ნაკლებია.

დიაგრამა 12 მედიანური და საშუალო თვიური ხელფასი



წყარო: საქსტატი

საქმიანობების სახეების მიხედვით, 2022 წელს, შედარებით მაღალი მედიანური ხელფასი დაფიქსირდა შემდეგ დარგებში:

- სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება - 1 703 ლარი;
- ინფორმაცია და კომუნიკაცია - 1 637 ლარი;
- სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება 1 547ლარი;
- მშენებლობა - 1 500 ლარი;
- ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება - 1 425 ლარი.

მიგრაცია

2022 წელს დადებითი მიგრაციული სალდოს დაფიქსირება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გასულ წლებში საქართველოს მოსახლეობის მიგრაციული სალდოს მაჩვენებელის უარყოფითი ტენდენციის ფონზე.

2022 წელს დადებითმა მიგრაციულმა სალდომ 54,509 შეადგინა. კერძოდ იმიგრანტების (ქვეყანაში შემომსვლელი) რაოდენობამ 179.8 ათასი პირი შეადგინა, ხოლო ემიგრანტების (ქვეყნიდან გამსვლელი) რაოდენობამ 125.3 ათასი. როგორც ემიგრანტთა, ასევე იმიგრანტთა რაოდენობა მკვეთრად აღემატება წინა წლის მონაცემებს.

დიაგრამა 13 მიგრაციული სალდო



წყარო: საქსტატი

კერძო სექტორის როლი დასაქმების მაჩვენებლებში

კერძო სექტორის მიერ ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და დასაქმების ზრდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას და შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს. ამასთან, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის პარალელურად, აუცილებელია ისეთი აქტივობების განხორციელება, რაც მაქსიმალურად შეამცირებს შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებულ შეუსაბამობას.

აღსანიშნავია, რომ დასაქმებულთა რაოდენობა ბიზნეს სექტორში 2009 წლიდან ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. გამონაკლისი მხოლოდ 2020 წელია, როდესაც გლობალური პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა ბიზნეს სექტორისთვის საკმაოდ რთული და გამოწვევებით სავსე გარემო შექმნა. თუმცა დასაქმების მაჩვენებელი კვლავ ზრდად ტენდენციას 2021 წელს დაუბრუნდა, ხოლო 2022 წელს ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ რეკორდულ მაჩვენებელს - 779.4 ათასს მიაღწია, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 4.7%-ით მეტია.

დიაგრამა 14 დასაქმებულთა რაოდენობა ბიზნეს სექტორში



წყარო: საქსტატი

ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება დასაქმებულთა არათანაბარი გადანაწილება რეგიონების მიხედვით. 2022 წელს, სხვა წლების მსგავსად, დასაქმებულთა უმრავლესობა (62%) სწორედ დედაქალაქზე მოდის. მაღალია ასევე აჭარასა (10%) და იმერეთში (8%) დასაქმებულთა ხვედრითი წილი. რაც შეეხება, დასაქმებულთა განაწილებას საწარმოთა ზომების მიხედვით: 40% -

დასაქმებულია მცირე ზომის საწარმოებში, 40% - მსხვილ, ხოლო 20% - საშუალო ზომის საწარმოებში.

მზარდია ბიზნესსექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურებაც. 2022 წელს საშუალო ხელფასმა 1 605.9 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 10%-ით მეტია. ყველაზე მაღალი საშუალო ანაზღაურება ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორში დაფიქსირდა - 3,113 ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 52%-ით აღემატება.

დასაქმება სექტორულ ჭრილში

2022 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, ბიზნეს სექტორში დასაქმების სტრუქტურაში მაღალი ხვედრითი წილით ვაჭრობის (29%, 222.4 ათასი დასაქმებული), მრეწველობისა (18%, 137.3 ათასი) და ჯანდაცვის (10%, 78.1 ათასი) სექტორები გამოირჩევა.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დასაქმებულთა რაოდენობა თითქმის ყველა სექტორში გაიზარდა. ყველაზე მაღალი ზრდა ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორში დაფიქსირდა - 27.5%, ასევე ორნიშნა პროცენტული ზრდით გამოირჩა განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების (სასტუმროები და რესტორნები) სექტორი - 11.4%.

დიაგრამა 15 დასაქმებულთა რაოდენობა და ერთ დასაქმებულზე დამატებული ღირებულება სექტორების მიხედვით



წყარო: საქსტატი

ერთ დასაქმებულზე არსებული დამატებული ღირებულების მიხედვით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება ხელოვნება, გართობა, დასვენების სექტორში - 85.9 ათასი ლარი (წინა წელთან შედარებით ზრდა 31%-ით). ასევე გამორჩეულია ინფორმაციისა და კომუნიკაციისა - 76,6 ათასი ლარი (წინა წელთან შედარებით ზრდა 40%. ამასთან, აღნიშნული ზრდა აღემატება ყველა სხვა სექტორში დაფიქსირებულ ზრდას).

2022 წელს ყველაზე დაბალი მწარმოებლურობა სხვა სახის მომსახურების სექტორში დაფიქსირდა (13,9 ათასი ლარი). ასევე, დაბალი მწარმოებლურობა დაფიქსირდა ჯანდაცვის სექტორში - 20,1 ათასი ლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელს 6%-ით ჩამორჩება. აღსანიშნავია, რომ ჯანდაცვის სექტორი ერთადერთა, სადან ერთ დასაქმებულზე არსებული დამატებული ღირებულაბა წინა წელთან შედარებით შემცირდა. ასევე დაბალია მწარმოებლურობა განათლების სექტორში - 21,8 ათასი ლარი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 25%-ით გაიზარდა.

მრეწველობა

2022 წელს მრეწველობის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 137 363 ადამიანი შეადგინა, რაც მთლიანი ბიზნეს სექტორის დასაქმების 17.6%-ს შეადგენს. 2022 წელს, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მრეწველობის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 1.1%-ით გაიზარდა.

დიაგრამა 16 დასაქმებულთა რაოდენობა მრეწველობის სექტორში (განაწილება საწარმოთა ზომების მიხედვით)



წყარო: საქსტატი

2022 წლის მონაცემების მიხედვით, მრეწველობის სექტორში დასაქმებულთაგან 50.8% მსხვილი ზომის საწარმოებზე მოდის, 20.7% - საშუალო, ხოლო 28.5% - მცირე ზომის საწარმოებზე. რაც შეეხება დასაქმებულთა განაწილებას რეგიონების მიხედვით: 43% - თბილისზე მოდის, მას მოჰყვება ქვემო ქართლი - 14% და იმერეთი 12%.

მრეწველობის სექტორში დასაქმებულები ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: უმრავლესობა დამამუშავებელი მრეწველობის სექტორშია დასაქმებული (69%), შემდეგ მოდის ენერგეტიკა (11%), წყალმომარაგება (10.7%) და სამთომოპოვებითი მრეწველობა (9.2%).

დიაგრამა 17 შრომის ანაზღაურება მრეწველობის სექტორში დარგების მიხედვით 2022 წ.



წყარო: საქსტატი

2022 წელს მრეწველობის სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ანაზღაურებამ 1,549.2 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 17%-ით აღემატება. აღსანიშნავია, რომ მრეწველობის სექტორის საშუალო ანაზღაურება მთლიანი ბიზნეს სექტორის საშუალო ანაზღაურებას 3.5%-ით ჩამორჩება.

დარგების მიხედვით ყველაზე მაღალი ანაზღაურება სამთომოპოვებით მრეწველობაშია - 2,122.1 ლარი; შემდეგ მოდის ენერგეტიკა - 1,810.3 ლარი; დამამუშავებელი მრეწველობა - 1,474.8 ლარი და წყალმომარაგება - 1,250 ლარი.

მშენებლობა

2022 წელს მშენებლობის სექტორში დასაქმებული იყო 65,489 ადამიანი, რაც ბიზნეს სექტორში დასაქმების 8.4%-ია.

აღსანიშნავია, რომ მშენებლობის სექტორში 2018 წლიდანდან 2021 წლის ჩათვლით დასაქმების მაჩვენებელი მუდმივად მცირდებოდა. 2022 წელს კი წინა წელთან შედარებით მშენებლობის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 1.9%-ით გაიზარდა.

მშენებლობის სექტორში ყველაზე მეტი ადამიანი მცირე ზომის საწარმოებშია დასაქმებული - 48%, 27.7% - საშუალო, ხოლო 23.8% - მსხვილი ზომის საწარმოებში.

დიაგრამა 18 მშენებლობის სექტორში დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომების მიხედვით



წყარო: საქსტატი

მშენებლობის სექტორში საშუალო თვიური ხელფასი ერთ-ერთი ყველაზე მაღალია. 2022 წელს მშენებლობის სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ხელფასმა 2,040.4 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 12.9%-ით მეტია. აქვე, აღსანიშნავია, რომ იგი ბიზნეს სექტორის საშუალო თვიური ხელფასის მაჩვენებელს 27.1%-ით აღემატება.

დიაგრამა 19 შრომის ანაზღაურება მშენებლობის სექტორში, ₾



წყარო: საქსტატი

ვაჭრობა

ბიზნეს სექტორის დასაქმებაში ყველაზე მაღალი წილით საცალო და საბითუმო ვაჭრობის სექტორი გამოირჩევა. 2022 წლის მონაცემებით, ვაჭრობის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 222,427 ათასი ადამიანი შეადგინა (4%-ით მეტია წინა წელთან შედარებით), რაც მთლიანი ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა 28.5%-ს შეადგენს.

დიაგრამა 20 დასაქმებულთა რაოდენობა და საშუალო ხელფასი ვაჭრობის სექტორში



წყარო: საქსტატი

ბოლო წლებში ვაჭრობის სექტორში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება მუდმივად მზარდი ტენდენციით გამოირჩევა. 2022 წელს, წინა წელთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებელი 18%-ით გაიზარდა და 1,356.0 ლარი შეადგინა, თუმცა მაინც ჩამორჩება ბიზნეს სექტორში არსებულ საშუალო მაჩვენებელს (16%-ით ნაკლები).

სოფლის მეურნეობა

ბიზნეს სექტორის დასაქმებაში სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის სექტორის წილი ყველაზე მცირეა. აღნიშნულ სექტორში, 2022 წელს 13,140 ადამიანი იყო დასაქმებული, რაც ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა 1.7%-ია.

2022 წელს გასულ წელთან შედარებით დასაქმებულთა რაოდენობა სოფლის მეურნეობის სექტორში 1%-ით გაიზარდა.

ბიზნეს სექტორის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი ერთ-ერთი ყველაზე დაბალია. 2022 წელს საშუალო თვიურმა ხელფასმა 1,065.3 ლარი შეადგინა, რაც ბიზნეს სექტორის საშუალო თვიური ხელფასის მაჩვენებელზე 34%-ით ნაკლებია.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი მზარდი ტენდენციით ხასიათდება. მაგალითად, 2022 წელს საშუალო ხელფასი, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 11.6%-ით აღემატება.

დიაგრამა 21 დასაქმებულთა რაოდენობა და საშუალო ხელფასი სოფლის მეურნეობაში, ₾



წყარო: საქსტატი

ტრანსპორტირება და დასაწყობება

2022 წელს ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულთა რიცხოვნობამ 66,554 ადამიანი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 6.3%-ით აღემატება. აღნიშნულ სექტორში დასაქმებულთა წილი ბიზნეს სექტორში დასაქმების 8.5%-ია.

2022 წელს ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულთა 49.9% მსხვილი ზომის საწარმოებში, 39.6% - მცირე ზომის, ხოლო 10.5% - საშუალო ზომის საწარმოებში იყო დასაქმებული.

დიაგრამა 22 ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომის მიხედვით



წყარო: საქსტატი

დასაქმებულთა განაწილება რეგიონების მიხედვით ასე გამოიყურება: თბილისი - 60%; აჭარა - 12%, სამეგრელო ზემო სვანეთი - 11.8%. სხვა დანარჩენი რეგიონების ცალკე აღებული წილი 5%-ს არ აღემატება.

ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულთა ყველაზე მაღალი წილი სახმელეთო ტრანსპორტზე მოდის (66.4%). მას მოჰყვება დასაწყობება და დამხმარე სატრანსპორტო საქმიანობები (25.3%), საფოსტო და საკურიერო

მომსახურება (7%). წყლის ტრანსპორტისა და საჰაერო ტრანსპორტის წილი 2%-ზე დაბალია.

დიაგრამა 23 ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი (2021)



წყარო: საქსტატი

ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება 1,697 ლარს შეადგენს, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 6%-ით აღემატება. აქვე, აღსანიშნავია, რომ სექტორის საშუალო თვიური ანაზღაურება ზოგადად ბიზნეს სექტორის საშუალო თვიური ხელფასის მაჩვენებელზე 6%-ით მეტია.

2022 წელს ბიზნეს სექტორში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი სწორედ ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სფეროში დაფიქსირდა, კონკრეტულად კი საჰაერო ტრანსპორტის დარგში და აღნიშნულმა 5,043.1 ლარი შეადგინა.

უძრავი ქონება

2022 წელს უძრავი ქონების სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 19,563 ადამიანი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 4%-ით მეტია. მისი წილი ბიზნეს სექტორში დასაქმების 2.5%-ია.

2022 წელს უძრავი ქონების სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 1,494.80 ლარი იყო, რაც წინა წლის მაჩვენებელს 4%-ით აღემატება, ხოლო ბიზნეს სექტორის საშუალო თვიური ხელფასის მაჩვენებელს კი 7%-ით ჩამორჩება.

დიაგრამა 24 უძრავი ქონების სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა და საშუალო თვიური ხელფასი, ₾

წყარო: საქსტატი

სასტუმროები და რესტორნები

ტურიზმის სექტორში ბოლო წლების განმავლობაში დასაქმების მაჩვენებლები მუდმივად მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა. თუმცა, 2020-2021 წელს პანდემიისგან გამოწვეულმა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ყველაზე დიდი გავლენა სწორედ სტუმარ-მასპინძლობის სექტორზე იქონია. მიუხედავად დასაქმების მზარდი ტენდენციისა, დასაქმებულთა რაოდენობა კვლავ შორსაა პანდემიამდელ მაჩვენებელთან.

2022 წელს სტუმარ-მასპინძლობის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 37,336 პირი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 11%-ით მეტია. ამავე პერიოდში სასტუმროებსა და რესტორნებში დასაქმებული იყო ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა 4.8%.

სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში დასაქმებულთა უდიდესი წილი მცირე ზომის საწარმოებში არიან დასაქმებულნი - 45.6%, შემდეგ მოდის მსხვილი ზომის საწარმოები - 28% და ბოლოს საშუალო ზომის საწარმოები - 26.4%.

დიაგრამა 25 სასტუმროებსა და რესტორნებში დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომის მიხედვით



წყარო: საქსტატი

აღნიშნულ სექტორში დასაქმებულთა განაწილება რეგიონულ ჭრილში გვიჩვენებს, რომ ყველაზე მეტი აქტივობა ძირითადად ორ რეგიონზე მოდის. დასაქმების ყველაზე მაღალი წილით გამოირჩევა თბილისი (59%), მას მოჰყვება აჭარა - 15%, ხოლო სხვა რეგიონების ცალკე აღებული ხვედრითი წილი არ აღემატება 5%-ს.

2022 წელს სასტუმროებსა და რესტორნებში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი ბიზნეს სექტორის საშუალო თვიური ხელფასის მაჩვენებელს 13%-ით ჩამორჩა და 1 168.2 ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით სექტორში საშუალო ხელფასი 33%-ით არის გაზრდილი. ამასთან, სასტუმროებში საშუალო თვიური ხელფასი მნიშვნელოვნად აღემატება რესტორნებში საშუალო თვიურ ხელფასს (სასტუმროები - 1,493.6 ლარი, რესტორნები - 950.3 ლარი). ორივე შემთხვევაში წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით საშალო ხელფასი გაზრდილია, სასტუმროებში 38%-ით, ხოლო რესტორნებში 30%-ით.

დიაგრამა 26 სასტუმროებსა და რესტორნებში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი, ₾



წყარო: საქსტატი

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები/პროექტები და მოთხოვნა ახალ პროფესიებზე

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების და პროექტების გათვალისწინებით ქვეყანაში დასაქმების მნიშვნელოვანი შესაძლებლობებია მოსალოდნელი:

- **ენერგეტიკის სექტორში** „ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოიშვება მოთხოვნა ისეთ ახალ პროფესიებზე, როგორიცაა ენერგოაუდიტორები, ენერგომენეჯერები, შენობებში სერტიფიცირების განმახორციელებლები და ა.შ. საყურადრებოა, რომ აღნიშნული პროფესიების მოსამზადებლად განსაზღვრულია სატრენინგო პროგრამების დამტკიცება, რომლებიც მოიცავს მიმართულებებს:
    - ენერგომომსახურების მიმწოდებლებისთვის;
    - მრეწველობის სექტორში ენერგოაუდიტის განმახორციელებელთათვის;
    - შენობების ენერგოეფექტურობის სერტიფიცირების განმახორციელებელთათვის;
    - ენერგომენეჯერებისა და შენობის მიერ ენერგიის მოხმარებაზე გავლენის მქონე ელემენტების მემონტაჟეებისთვის.

  ასევე, აღსანიშნავია, რომ 2022 წელს საქართველოში პირველად გამოცხადდა მიღება განახლებადი ენერგიების მოწყობილობების მემონტაჟეთა სერტიფიცირების პროგრამაზე. გადამზადების პროგრამა მიმდინარეობდა ოთხი მიმართულებით:
    - მზის ფოტოელექტრული სისტემების მემონტაჟე;
    - მზის თერმული სისტემების მემონტაჟე;
    - ბიომასის ბოილერების და ღუმელების მემონტაჟე და
    - ზედაპირული გეოთერმული სისტემების და თბური ტუმბოების მემონტაჟე.
- **განახლებადი ენერგიის** წყაროების ათვისების მიზნით დაგეგმილია არაერთი პროექტის განხორციელება. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ უფრო მოთხოვნადი გახდება ისეთი პროფესიები, როგორიც არის ელექტრიკოსი, ელექტროინჟინერი, ენერგეტიკოსი, სადგურის მორიგე, უსაფრთხოების ინჟინერი და სხვა ტექნიკური პერსონალი. გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ სულ უფრო მეტად იზრდება დაინტერესება ისეთი ახალი ტექნოლოგიებით, როგორებიცაა წყალბადის წარმოება და ენერგიის შემნახველი ბატარეების გამოყენება, რაც სამომავლოდ გამოიწვევს შესაბამის პროფესიებზე მოთხოვნის გაზრდას;
- **კავშირგაბმულობის სექტორში** საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის აქტივობები ხელს შეუწყობს

ინვესტიციების მოზიდვას და ქვეყანაში ფართოზოლოვანი ოპრიკურ-ბოჭკოვანი ქსელების განვითარებას, 5G სერვისების პილოტირებას, მონაცემთა გაცვლის ცენტრებისა და ინტერნეტის გაცვლის წერტილების (IXP) ფორმირებას, ციფრული უნარების განვითარებას და სხვა, რაც თავის მხრივ აისახება ციფრული ეკოსისტემის განვითარებაში. აღნიშნული კი დაეხმარება არსებულ ან ახალ ისეთ პროფესიებზე მოთხოვნის ზრდას, როგორებიცაა ICT სპეციალისტები (მაგ: ახალი თაობის, მათ შორის 5G ქსელების ინჟინერი/პროგრამისტი, მონაცემთა ცენტების ინჟინერი/პროგრამისტი, AI პროგრამისტი და სხვა);

- **ტრანსპორტირებისა და დასაწყობების** სექტორში, დაგეგმილო საინვესტიციო პროექტების განხორციელება და მოსალოდნელი ტექნოლოგიების დანერგვა გაზრდის მოთხოვნას ისეთ პროფესიებზე, როგორებიცაა:
    - ნავსადგურში მომუშავე პერსონალი;
    - საზღვაო/ჰიდრო ინჟინერი;
    - საზღვაო ეკონომიკის, ფინანსებისა და დაზღვევის სპეციალისტი;
    - საზღვაო ბიზნესის მართვის სპეციალისტი;
    - ჰიდროგრაფიის სპეციალისტი;
    - მძღოლი (საავტომობილო გადაზიდვა/გადაყვანისა და სპეცტეკნიკის მართვა);
    - ლოგისტიკის სპეციალისტი;
    - რკინიგზის სპეციალისტი (მექანიკა, მშენებლობა, ელექტროობა, ავტომატიზაცია, მომსახურება და უსაფრთხოება);
- შესაბამისი უწყებების მიერ დაგეგმილი **ინფრასტურული** პროექტების გახორციელება, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოიცავს ისეთ საქმიანობებს, როგორებიცაა: საავტომობილო გზებისა და ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა. ამ ტიპის პროექტების მართვისათვის საჭიროა ისეთი პროფესიები/სპეციალობები, როგორიცაა:
    - გზების, ხიდების, გვირაბების მშენებლობის სპეციალისტები;
    - ელექტროინჟინერია (განათების სპეციალისტები);
    - ავტომატიზირებული და ინფორმაციული მართვის სისტემები, პროგრამირება და მონაცემთა ბაზების ადმინისტრირება;
    - საგზაო უსაფრთხოება;
- საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის სამუშაო სფეროსა და სპეციფიკიდან გამომდინარე, სფეროში გამოკვეთილი მოთხოვნადი პროფესია/ სპეციალობებია: სამშენებლო კონტრაქტების მართვის სპეციალისტი, გარემოზე ზემოქმედების და სოციალური მდგრადობის შეფასების სპეციალისტი, ენერგოეფექტურობის შეფასების სპეციალისტი, ხარჯთაღრიცხვის სპეციალისტი, ავტომატიზებული და ინფორმაციული მართვის სპეციალისტი, მონაცემთა ბაზების ადმინისტრირების სპეციალისტი, კიბერუსაფრთხოების

სპეციალისტი, შრომის უსაფრთხოების, მათ შორის, სახანძრო უსაფრთხოების სპეციალისტი, ელექტრო სისტემის ინჟინერი, სამუშაოს მწარმოებელი, ობიექტის მენეჯერი. ასევე, მონოლითის სპეციალისტი, გათბობა, გაგრილება, ვენტილაციის სპეციალისტი, კალატოზი, მლესავი/მებათქაშე, გეოდეზისტი, დურგალი, კონსტრუქტორი, წყლის სისტემის ტექნიკოსი, ელექტროშემდუღებელი და მანქანა მექანიზმების მმართველი. საყურადღებოა ასევე **წყალმომარაგების** დარგში დაგეგმილი პროექტები და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, რაც გამოიწვევს მოთხოვნის გაზრდას შემდეგი ტიპის პროფესიონალებზე: CCTV (ქსელში გასაშვები რობოტი) სპეციალისტი რეგიონებში, ინჟინერი (წყალსადენი/წყალარინება), CKADA სისტემის სპეციალისტი, ამზომველი, ენერგეტიკოსი (სპეციალისტი), ლაბორანტი (ქიმიკოსი, ბაქტერიოლოგი), წყლის სატუმბი სადგურის ოპერატორი, სათავე ნაგებობის/რეზერვუარის დარაჯი-ოპერატორი, მქლორავი-ოპერატორი, მძღოლი - ასენიზაციის მანქანა, ექსკავატორის მძღოლი, ევაკუატორის მძღოლი, ბრიგადირი (წყალსადენი/წყალარინება), ზეინკალი, კანალიზატორი, ელ. შემდუღებელი, ელექტრიკოსი და აღმრიცხველი.

- **გარემოს დაცვის** მიმართულებით დაგეგმილი სამუშაოების ფარგლებში, საჭიროა ისეთი პროფესიები/სპეციალობები, როგორიცაა: გარემოს დამცველები-ჰაერის დაბინძურების ანალიტიკოსი, კონსერვაციის სპეციალისტი, ეკოლოგი, წყლის ხარისხის ანალიტიკოსი, ელექტროინჟინერი-აირის/წყლის სისტემების ტექნიკოსები, ინჟინერ-მშენებლები, ხელობასთან, შეკეთებასთან და სამანქანო დანადგარების ექსპლუატაციასთან დაკავშირებული პროფესიები, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.
- გარდა ამისა, **გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის** მიმართულებით საშუალოვადიან პერიოდში დაგეგმილი საინვესტიციო პროექტების განხორციელებისა და მოსალოდნელი თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის შედეგად, მოსალოდნელია მოთხოვნის წარმოშობა შემდეგ პროფესიებსა და მიმართულებებზე:
    - გარემოს დაცვის ტექნოლოგია (Environmental Protection Technology);
    - ელექტროტექნიკა და სამრეწველო ელექტრონიკა (Electrical Equipments and Industrial Electronics);
    - ჰაერის კონდიცირება (Air Conditioning);
    - წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა (Integrated Water Resources Management);
    - ჰაერის დაბინძურების მართვა და კონტროლი (Air Pollution Management and Control);
    - გარემოსდაცვითი მენეჯმენტი/მართვა (Environmental Governance);
    - სურსათის უვნებლობა;
    - ვეტერინარია;

- მცენარეთა დაცვა;
- მეტყევე სპეციალისტი;
- საძოვრების სპეციალისტი;
- მეტყევე ენტომოლოგი;
- საზღვაო თევზჭერის მულტიდისციპლინურ სპეციალისტი (Multidisciplinary Marine Fishewries Specialists);
- თევზის მარაგების დათვლის სპეციალისტი (Fisheries stock Assessment Specialists);
- პროგრამისტი;
- სისტემური ადმინისტრირების სპეციალისტი.

HR.GE-ზე 2022 წელს გამოქვეყნებული ვაკანსიების მიმოხილვა

2022 წელს წინა წელთან შედარებით 8%-ით გაიზარდა დასაქმების კერძო სააგენტოს HR.GE-ის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობა და დაახლოებით 75 000 შეადგინა. ვაკანსიების მაღალი ზრდა დაფიქსირდა ოფისის პერსონალის (26%), სპეციალისტების (24%), ხელოსნებისა (9%) და მომსახურების/ვაჭრობის (8%) სფეროს ძირითად პროფესიულ ჯგუფებში. ამის პარალელურად ვაკანსიები შემცირდა დამწყები კვალიფიკაციის (-24%), სამრეწველო დანადგარების ოპერატორების (16%), მენეჯერებისა (13%) და სოფლის მეურნეობის მუშაკების (5%) ძირითად პროფესიულ ჯგუფებში.

დიაგრამა 27 HR.ge-ზე 2021-2022 წლებში გამოქვეყნებული ვაკანსიების შედარება



2022 წელს გამოქვეყნებული ვაკანსიების მიხედვით თითქმის თანაბარზომიერად არიან წარმოდგენილები მომსახურების (23%), სპეციალისტებისა (22%) და ტექნიკოსების (21%) ძირითადი პროფესიული ჯგუფები. მაღალია ასევე მოთხოვნა

ოფისის დამხმარე პერსონალზე (16%). ვაკანსიების ხვედრითი წილი თითქმის იდენტურია ხელოსნების (6%), დამწყები კვალიფიკაციისა (5%) და სამრეწველო დანადგარების ოპერატორების (5%) ძირითად პროფესიულ ჯგუფებში. შედარებით დაბალია მენეჯერებისა (2%) და სოფლის მეურნეობის მუშაკების ძირითად პროფესიულ ჯგუფებში.

2022 წელს წინა წელთან შედარებით ვაკანსიების რაოდენობაში მცირედმა ცვლილებამ განაპირობა ზოგიერთ ახლოს მდგარ ძირითად პროფესიულ ჯგუფში ადგილმონაცვლეობა.

დიაგრამა 28 HR.ge-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიები ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით (2022 წ)



ვაკანსიების მხრივ ყველაზე მაღალია მოთხოვნა **მომსახურების სფეროსა და სავაჭრო დაწესებულებების მომსახურე პერსონალის** (23%) **ძირითად პროფესიულ ჯგუფზე**. ვაკანსიები ეხება ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს, რომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნაც ითვალისწინებს პროფესიულ და საშუალო განათლებას. ბიზნეს სექტორში

ვაჭრობა გამოირჩევა დასაქმების მაღალი ხვედრითი წილით და შესაბამისად გაყიდვების სფეროს პერსონალზე დიდია მოთხოვნა. აღნიშნული შეიძლება აიხსნას იმით, რომ ვაჭრობა ხშირ შემთხვევაში უკავშირდება დაბალპროდუქტიულ სამუშაოს, ხშირია კადრების გადინება და მუდამ აქტუალურია გაყიდვების სფეროს პერსონალზე კადრების მოძიება. აღნიშნული ძირითადი პროფესიული ჯგუფიდან დიდია მოთხოვნა: მაღაზიის გაყიდვების ასისტენტებზე, მოლარეებზე, უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებზე, მზარეულებზე, მიმტანებსა და ბარმენებზე.

ძირითადი ჯგუფი: მომსახურების სფეროსა და სავაჭრო დაწესებულებების მომსახურე პერსონალი

5	მომსახურების სფეროსა და სავაჭრო დაწესებულებების მომსახურე პერსონალი	რაოდენობა	წილი
52	გაყიდვების სფეროში დასაქმებული პირები	8801	52%
51	პირადი მომსახურებების სფეროში დასაქმებული პირები	6190	36%
54	მოსახლეობისა და საკუთრების დამცველი სამსახურების მუშაკები	1873	11%
53	ინდივიდუალური მომვლელები	202	1%
	სულ	17066	

51	პირადი მომსახურებების სფეროში დასაქმებული პირები	რაოდენობა	წილი
5120	მზარეულები	2001	32%
5131	მიმტანები	1365	22%
5132	ბარმენები	855	14%
5153	შენობის მომვლელები	654	11%
5151	ოფისების, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დალაგებისადა საოჯახო საქმეების ზედამხედველები	479	8%
5152	შინამოსამსახურეები	431	7%
5142	კოსმეტოლოგები და მონათესავე სფეროებში დასაქმებული პირები	219	4%
5141	სტილისტები	100	2%
5169	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველიპირადი მომსახურებების სფეროშიდასაქმებული პირები	64	1%
5165	სატრანსპორტო საშუალებების მართვის ინსტრუქტორები	20	0%
5111	ბორტგამცილებლები და სტიუარდები	2	0%
	სულ	6190	

52	გაყიდვების სფეროში დასაქმებული პირები	რაოდენობა	წილი
5223	მაღაზიის გაყიდვების ასისტენტები	6102	69%
5230	მოლარეები და ბილეთების კონტროლიორები	2211	25%
5222	მაღაზიის ზედამხედველები	196	2%

5245	მომსახურების პუნქტების სპეციალისტები	127	1%
5246	კვების პუნქტების პერსონალი	117	1%
5249	სხვა დაჯგუფებაში ჩაურთველი გაყიდვების სფეროს მუშაკები	39	0%
5242	გაყიდვების წარმომადგენლები	9	0%
	სულ	8801	

53	**ინდივიდუალური მომვლელები**	**რაოდენობა**	**წილი**
5321	ჯანდაცვის სფეროს დამხმარე პერსონალი	133	66%
5311	ბავშვის მომვლელები	69	34%
	სულ	202	

54	**მოსახლეობისა და საკუთრების დამცველი სამსახურების მუშაკები**	**რაოდენობა**	**წილი**
5414	უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები	1869	100%
5419	სხვა კატეგორიაში ჩაურთველი მოსახლეობისა და საკუთრების დამცველი სამახურების მუშაკები	4	0%
	სულ	1873	

სპეციალისტების ძირითადი პროფესიული ჯგუფიდან მაღალია მოთხოვნა ბიზნესისა და ადმინისტრირების (33%), მეცნიერებისა და ინჟინერიის (19%), ჯანდაცვის (19%), ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (14%), განათლებისა (10%) და სამართლის (5%) სპეციალისტებზე. სპეციალისტების საკვალიფიკაციო მოთხოვნა უკავშირდება უმაღლეს განათლებას და მათი საქმიანობის სფერო მოიცავს კვლევებს, ანალიზს, სამეცნიერო ან შემოქმედებითი კონცეფციების გამოყენებას. დადებით ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს სპეციალისტების, პოზიციებზე ვაკანსიების სიმრავლე, რადგან უმრავლეს შემთხვევაში ვაკანსიები ეფუძნება მაღალპროდუქტიულ სამუშაოს.

ბიზნესისა და ადმინისტრირების ქვეჯგუფიდან ვაკანსიების სიმრავლით გამოირჩევა: ბუღალტრები (44%), რეკლამირებისა და მარკეტინგის სპეციალისტები (30%), ასევე ის ელემენტარული პროფესიული ჯგუფები, რომლებიც უზრუნველყოფენ ორგანიზაციის გამართულ ფუნქციონირებას.

მაღალია ასევე მოთხოვნა **მეცნიერების და ინჟინერიის ძირითად პროფესიულ ჯგუფზე**, რაც ენერგეტიკის, ინფორმაცია და კომუნიკაციის, მშენებლობისა და მრეწველობის სექტორების სპეციალისტებზე მოთხოვნას უკავშირდება. ელემენტარული პროფესიული ჯგუფებიდან მაღალია მოთხოვნა: ინჟინერ-ელექტრიკოსებზე (24%), გრაფიკული და მულტიმედიის დიზაინერებზე (13%), ტელეკომუნიკაციების ინჟინრებზე (12%), შენობის არქიტექტორებზე (10%), ინჟინერ მექანიკოსებზე (10%), მრეწველობისა და წარმოების ინჟინრებზე (10%).

დადებითად უნდა შეფასდეს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტებზე მაღალი მოთხოვნა, რადგან სამუშაო ეფუძნება თანამედროვე ტექნოლოგიებს და არის ამავდროულად მაღალანაზღაურებადი. აღნიშნული ქვეჯგუფიდან დიდია მოთხოვნა სხვადასხვა პროფილის პროგრამისტებზე (68%) და მონაცემთა ბაზის დიზაინერებზე (8%).

ჯანდაცვის სფერო მთლიანობაში გამოირჩევა მოთხოვნის მრავალფეროვნებით, რაც მოიცავს ვაკანსიებს: მედიცინის საერთო პროფილის პრაქტიკოსებზე (34%), სპეციალისტ ექთნებზე (19%), მედიცინის სპეციალისტ-პრაქტიკოსებზე (12%), სპეციალისტ მეანებსა (12%) და ფარმაცევტებზე (11%).

სპეციალისტების ძირითადი პროფესიული ჯგუფიდან მოთხოვნა შეეხება განათლების სფეროს წარმომადგენლებს. კერძოდ, მოთხოვნაა: განათლების მეთოდების სპეციალისტებზე (32%), ასევე საშუალო (16%), უმაღლესი (16%), სკოლამდელი (15%) და უცხო ენების (12%) მასწავლებლებზე.

სამართლის, სოციალური და კულტურის სფეროთა სპეციალისტების ქვეჯგუფიდან ვაკანსიებია: იურისტის (51%), მთარგმნელისა (12%) და ჟურნალისტის (10%) პოზიციებზე.

ძირითადი ჯგუფი: სპეციალისტები

2	სპეციალისტები	რაოდენობა	წილი
24	ბიზნესისა და ადმინისტრირების სპეციალისტები	5496	33%
21	მეცნიერებისა და ინჟინერიის პროფესიონალები	3188	19%
22	ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტები	3147	19%
25	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტები	2352	14%
23	განათლების სპეციალისტები	1708	10%
26	სამართლის, სოციალური და კულტურის სფეროთა სპეციალისტები	816	5%
	სულ	16707	

21	მეცნიერებისა და ინჟინერიის პროფესიონალები	რაოდენობა	წილი
2151	ინჟინერ-ელექტრიკოსები	779	24%
2166	გრაფიკული და მულტიმედიის დიზაინერები	425	13%
2153	ტელეკომუნიკაციების ინჟინრები	384	12%
2161	შენობის არქიტექტორები	333	10%
2144	ინჟინერ-მექანიკოსები	324	10%
2141	მრეწველობისა და წარმოების ინჟინრები	311	10%
2149	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი ინჟინერიის სპეციალისტები	191	6%

2143	გარემოს დაცვის საკითხების ინჟინრები	140	4%
2145	ინჟინერ-ქიმიკოსები	101	3%
2142	სამოქალაქო მშენებლობის ინჟინრები	70	2%
2113	ქიმიკოსები	35	1%
2133	გარემოს დაცვის სპეციალისტები	31	1%
2165	კარტოგრაფები, ტოპოგრაფები	31	1%
2152	ელექტრონიკის ინჟინრები	28	1%
2114	გეოლოგები და გეოფიზიკოსები	2	0%
2111	ფიზიკოსები და ასტრონომები	1	0%
2131	ბიოლოგები, ბოტანიკოსები, ზოოლოგები და მონათესავე სფეროების სპეციალისტები	1	0%
2163	პროდუქციისა და ტანსაცმლის დიზაინერები	1	0%
	სულ	**3188**	

22	**მეცნიერებისა და ინჟინერიის პროფესიონალები**	**რაოდენობა**	**წილი**
2211	მედიცინის საერთო პროფილის პრაქტიკოსები	1072	34%
2221	სპეციალისტი ექთნები	597	19%
2212	მედიცინის სპეციალისტ-პრაქტიკოსები	375	12%
2222	სპეციალისტი მეანები	373	12%
2262	ფარმაცევტები	334	11%
2261	სტომატოლოგები	186	6%
2264	ფიზიოთერაპევტები	125	4%
2250	ექიმი-ვეტერინარები	33	1%
2267	ოფთალმოლოგები, ოპტომეტრისტები და ოპტიკოსები	27	1%
2115	ინჟინერ-ელექტრიკოსები	14	0%
2266	აუდიოლოგები და მეტყველების სპეციალისტები (ლოგოპედი)	7	0%
2240	პარამედიცინის პრაქტიკოსები	2	0%
2265	დიეტოლოგები და კვების სპეციალისტები	2	0%
	სულ	3147	

23	**განათლების სპეციალისტები**	**რაოდენობა**	**წილი**
2351	განათლების მეთოდების სპეციალისტები	554	32%
2330	საშუალო განათლების მასწავლებლები	276	16%
2310	უნივერსიტეტისა და უმაღლესი განათლების მასწავლებლები	267	16%
2342	სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელები	256	15%
2353	უცხო ენის მასწავლებლები	199	12%
2359	ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებს მიუკუთვნებელი განათლების სპეციალისტები	155	9%
2356	ინფორმაციული ტექნოლოგიების მასწავლებლები	1	0%
	სულ	1708	

24	ბიზნესისა და ადმინისტრირების სპეციალისტები	რაოდენობა	წილი
2411	ბუღალტრები	2436	44%
2431	რეკლამირებისა და მარკეტინგის სპეციალისტები	1635	30%
2423	პერსონალისა და კარიერული წინსვლის სპეციალისტები	576	10%
2413	ფინანსური ანალიტიკოსები	362	7%
2421	მართვისა და ორგანიზაციული ანალიტიკოსები	325	6%
2432	საზოგადოებასთან ურთიერთობების სპეციალისტები	94	2%
2412	ფინანსური და საინვესტიციო მრჩევლები	68	1%
	სულ	5496	

25	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტები	რაოდენობა	წილი
2512	პროგრამისტები	1594	68%
2521	მონაცემთა ბაზის დიზაინერები და ადმინისტრატორები	195	8%
2519	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი პროგრამებისა და აპლიკაციების განვითარების სპეციალისტები და ანალიტიკოსები	181	8%
2514	აპლიკაციების პროგრამისტები	163	7%
2511	სისტემების ანალიტიკოსები	90	4%
2513	ინტერნეტისადა მულტიმედია-სპეციალისტი	87	4%
2529	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი მონაცემთა ბაზისა და ქსელების სპეციალისტები	42	2%
	სულ	2352	

26	სამართლის, სოციალური და კულტურის სფეროთა სპეციალისტები	რაოდენობა	წილი
2611	იურისტები	416	51%
2643	მთარგმნელები, თარჯიმნები და სხვა ლინგვისტები	99	12%
2642	ჟურნალისტები	85	10%
2634	ფსიქოლოგები	53	6%
2621	არქივარიუსები და მუზეუმის კურატორები	39	5%
2651	სახვითი ხელოვნების მხატვრები	24	3%
2632	სოციოლოგები, ანთროპოლოგები და მონათესავე სფეროთასპეციალისტები	23	3%
2652	მუსიკოსები, მომღერლები და კომპოზიტორები	19	2%
2631	ეკონომისტები	18	2%
2619	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი სამართლის სპეციალისტები	11	1%
2622	ბიბლიოთეკარები და მონათესავე სფეროთა სპეციალისტები	7	1%
2656	რადიოს, ტელევიზიისა და სხვა მედიასაშუალებების დიქტორები	7	1%
2653	მოცეკვავეები და ქორეოგრაფები	5	1%

2654	ფილმის, თეატრისა და მონათესავე სფეროთა რეჟისორები და პროდიუსერები	4	0%
2641	მწერლები, პოეტები და სხვა ლიტერატორები	3	0%
2612	მოსამართლეები	1	0%
2635	სოციალური სამუშაოებისა და კონსულტაციების სფეროს სპეციალისტები	1	0%
2655	მსახიობები	1	0%
	სულ	816	

ტექნიკოსებსა და დამხმარე სპეციალისტების ძირითად ჯგუფზე მოთხოვნა აერთიანებს ვაკანსიებს: ბიზნესის, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, სამეცნიერო და საინჟინრო, სამეცნიერო და სამართლის, ჯანდაცვის დამხმარე სპეციალისტების კუთხით. მაღალია საკვალიფიკაციო მოთხოვნა ტექნიკოსების ძირითადი პროფესიული ჯგუფის ვაკანსიებზე. შესაბამისად, ვაკანსიებიც მოითხოვს სამუშაოს მაძიებლებისგან გამოცდილებასა და მაღალი დონის უნარებს.

ტექნიკოსების ძირითადი პროფესიული ჯგუფიდან ყველაზე დიდია მოხოვნა ბიზნესისა და ადმინისტრირების დამხმარე სპეციალისტებზე (81%) ფიქსირდება, რომელთაგან აღსანიშნავია: კომერციული გაყიდვების წარმომადგენლები (45%), საკრედიტო და სესხის ოფიცრები (19%) და ოფისის ზედამხედველები (13%).

საგულისხმოა, რომ მაღალია მოთხოვნა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტექნიკოსებზე (8%), რაც უკავშირდება ვაკანსიებს: კომპიუტერული ქსელისა და სისტემების ტექნიკოსებზე (49%), ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მომხმარებლების მხარდაჭერის ტექნიკოსებზე (37%).

ჯანდაცვის დამხმარე სპეციალისტებიდან მოთხოვნაა: რენტგენოლოგიისა და თერაპიული აღჭურვილობის ტექნიკოსებზე (31%), სამედიცინო სფეროს დამხმარე პერსონალზე (31%), მეანებსა (8%) და სასწრაფო დახმარების პერსონალზე (8%).

მეცნიერების და ტექნიკის დამხმარე სპეციალისტებიდან მოთხოვნადია ის ელემენტარული პროფესიული ჯგუფები, რომლებიც უკავშირდება სამოქალაქო მშენებლობას, წარმოებაში პროცესის კონტროლს, ელექტრონული მოწყობილობების პროექტირებას, მოვლასა და რემონტს. სამოქალაქო მშენებლობის მიმართულებით მაღალია მოთხოვნა: მშენებლობის ზედამხედველებზე (36%), დამამუშავებელი მრეწველობის ზედამხედველებსა (32%) და ელექტროტექნიკოსებზე (20%).

სამართლის, სოციალური, კულტურისა და მონათესავე დარგების დამხმარე სპეციალისტებიდან მაღალია ინტერესი: შეფ-მზარეულებზე (60%), ინტერიერის დიზაინერებზე (21%) და სპორტის მწვრთნელებზე (9%).

ძირითადი ჯგუფი: ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები

3	ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები	რაოდენობა	წილი
33	ბიზნესისა და ადმინისტრირების დამხმარე სპეციალისტები	13023	81%
35	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტექნიკოსები	1342	8%
31	სამეცნიერო და საინჟინრო დამხმარე სპეციალისტები	1025	6%
34	სამართლის, სოციალური, კულტურისა და მონათესავე დარგების დამხმარე სპეციალისტები	460	3%
32	ჯანდაცვის დამხმარე სპეციალისტები	318	2%
	სულ	16168	

31	მეცნიერების და ტექნიკის დამხმარე სპეციალისტები	რაოდენობა	წილი
3123	მშენებლობის ზედამხედველები	364	36%
3122	დამამუშავებელი მრეწველობის ზედამხედველები	324	32%
3113	ელექტროტექნიკოსები	206	20%
3142	სოფლის მეურნეობის სფეროს ტექნიკოსები	48	5%
3115	მანქანათმშენებლობის ტექნიკოსები	36	4%
3111	ქიმიური და ფიზიკური მეცნიერებების ტექნიკოსები	29	3%
3117	სამთომოპოვებითი მრეწველობის და მეტალურგიის ტექნიკოსები	11	1%
3153	თვითმფრინავების პილოტები და მონათესავე დამხმარე სპეციალისტები	3	0%
3155	საჰაერო მოძრაობის უსაფრთხოების ელექტროტექნიკოსები	3	0%
3154	საჰაერო მოძრაობის დისპეტჩერი	1	0%
	სულ	1025	

32	ჯანდაცვის დამხმარე სპეციალისტები	რაოდენობა	წილი
3211	რენტგენოლოგიისა და თერაპიული აღჭურვილობის ტექნიკოსები	164	52%
3256	სამედიცინო სფეროს დამხმარე პერსონალი	100	31%
3222	მეანის დამხმარე სპეციალისტები	27	8%
3258	სასწრაფო დახმარების პერსონალი	27	8%
	სულ	318	

33	ბიზნესისა და ადმინისტრირების დამხმარე სპეციალისტები	რაოდენობა	წილი
3322	კომერციული გაყიდვების წარმომადგენლები	5846	45%
3312	საკრედიტო და სესხის ოფიცრები	2471	19%
3341	ოფისის ზედამხედველები	1629	13%

3323	შემსყიდველები	977	8%
3315	შემფასებლები და ზარალის კონსულტანტები	641	5%
3321	სადაზღვევო წარმომადგენლები	637	5%
3313	საბუღალტრო სფეროს სპეციალისტები	376	3%
3334	უძრავი ქონების აგენტები და ქონების მენეჯერები	322	2%
3343	ადმინისტრაციული და აღმასრულებელისფეროს მდივნები	100	1%
3342	სამართლებრივი სფეროს მდივნები	19	0%
3324	სავაჭრო ბროკერები	4	0%
3333	დასაქმების აგენტები და კონტრაქტორები	1	0%
	სულ	13023	

34	**სამართლის, სოციალური, კულტურისა და მონათესავე დარგების დამხმარე სპეციალისტები**	**რაოდენობა**	**წილი**
3434	შეფ-მზარეულები	278	60%
3432	ინტერიერის დიზაინერები და დეკორატორები	98	21%
3422	სპორტის მწვრთნელები, ინსტრუქტორები და სპორტთან დაკავშირებული ოფიციალური პირები	43	9%
3423	ფიტნეს და სპორტული დასვენების ინსტრუქტორები და სპორტული პროგრამის ხელმძღვანელები	19	4%
3431	ფოტოგრაფები	15	3%
3435	ხელოვნებისა და კულტურის სფეროს სხვა დამხმარე სპეციალისტები	5	1%
3433	გალერეის, მუზეუმისა და ბიბლიოთეკის მუშაკები	2	0%
	სულ	460	

35	**ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტექნიკოსები**	**რაოდენობა**	**წილი**
3513	კომპიუტერული ქსელისა და სისტემების ტექნიკოსები	662	49%
3512	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მომხმარებლების მხარდაჭერის ტექნიკოსები	499	37%
3511	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ოპერირების ტექნიკოსები	167	12%
3522	სატელეკომუნიკაციო დანადგარების ტექნიკოსები	14	1%
	სულ	1342	

ოფისის დამხმარე პერსონალის ძირითადი პროფესიული ჯგუფიდან ვაკანსიები მრავლად არის მომხმარებლის ინფორმირების სფეროში დასაქმებულ პირებსა (79%) და მატერიალური ფასეულობების აღმრიცხველ კლერკებზე (14%). აღნიშნულ ძირითად პროფესიულ ჯგუფში ვაკანსიები მრავალფეროვანია და საკვალიფიკაციო მოთხოვნა სხვა მახასიათებლებთან ერთად შესაძლოა უკავშირდებოდეს განათლების სამივე დონეს, უცხო ენების ცოდნასა და გამართულ კომუნიკაციას. ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით ვაკანსიები მრავლად არის: ბანკის მოლარეების,

სატელეფონო ოპერატორების, მიმღების, საკონტაქტო ცენტრისა და ტრანსპორტირების კლერკებზე. ასევე მოთხოვნაა: კურიერებზე, საბუღალტრო აღრიცხვის, მოგზაურობისა და სათამაშო ბიზნესში დასაქმებულ პერსონალზე.

ძირითადი ჯგუფი: ოფისის დამხმარე პერსონალი

4	ოფისის დამხმარე პერსონალში დასაქმებული სხვა პირები	რაოდენობა	წილი
42	მომხმარებლის ინფორმირების სფეროში დასაქმებული პირები	9465	79%
43	რაოდენობრივი და მატერიალური ფასეულობების აღმრიცხველი კლერკები	1667	14%
44	ოფისის დამხმარე პერსონალში დასაქმებული სხვა პირები	749	6%
41	ზოგადი და ტექსტის ამკრეფი კლერკები	63	1%
	სულ	11944	

41	ზოგადი და ტექსტის ამკრეფი კლერკები	რაოდენობა	წილი
4120	მდივნები (ზოგადი)	41	65%
4110	ოფისის ზოგადი კლერკები	22	35%
	სულ	63	

42	მომხმარებლის ინფორმირების სფეროში დასაქმებული პირები	რაოდენობა	წილი
4211	ბანკისმოლარეებიდამონათესავესფეროთა კლერკები;	4273	45%
4223	სატელეფონო კომუტატორისს ოპერატორები	1637	17%
4226	მიმღებში მომუშავენი (ზოგადი)	1553	16%
4222	საკონტაქტო ცენტრის კლერკები	1401	15%
4221	მოგზაურობის კონსულტანტები და კლერკები	294	3%
4212	ტოტალიზატორისოპერატორები (ბუკმეკერები),ბანქოს დამრიგებლები (კრუპიეები)დააზარტული თამაშების სფეროში დასაქმებული სხვა პირები	272	3%
4227	გამოკვლევისა და ბაზრის კვლევების ინტერვიუერები	35	0%
	სულ	9465	

43	რაოდენობრივი და მატერიალური ფასეულობების აღმრიცხველი კლერკები	რაოდენობა	წილი
4323	ტრანსპორტირებისკლერკი	1406	84%
4311	საბუღალტრო აღრიცხვისადაანგარიშწარმოებისსფეროსკლერკები	261	16%
	სულ	1667	

44	ოფისის დამხმარე პერსონალში დასაქმებული სხვა პირები	რაოდენობა	წილი
4412	კურიერები და ფოსტის დამხარისხებლები	510	68%
4415	საქმისმწარმოებელი და ასლების გადამღები კლერკები	218	29%
4416	პერსონალთან დაკავშირებული საკითხების კლერკები	21	3%
	სულ	749	

დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელის ძირითადი პროფესიულ ჯგუფში შემავალი მუშახელი ასრულებს ფიზიკურ სამუშაოს და ვაკანსიებზე უმთავრეს განმსაზღვრელ მოთხოვნას ფიზიკური შესაძლებლობები წარმოადგენს. ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ საკმაოდ რთულია დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელის მოძიება, რაც ერთი მხრივ განპირობებულია შეთავაზებული დაბალი ანაზღაურებით. აღნიშნული ძირითადი პროფესიული ჯგუფიდან მოთხოვნაა ოფისისა და სასტუმროების დამლაგებლებსა და დამხმარეებზე, მტვირთავებზე, სწრაფი კვების კერძების მომამზადებლებზე, კონტროლიორებსა და მანქანის მრეცხავებზე.

ძირითადი ჯგუფი: დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი

9	დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშები	რაოდენობა	წილი
91	მწმენდავები და დამხმარეები	1317	37%
93	სამთო-მოპოვებითი, სამშენებლო, მრეწველობისა და ტრანსპორტის სფეროს მუშები	1622	46%
94	სამზარეულოს დამხმარეები	169	5%
96	ნარჩენების გამტანები და სხვა დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშები	446	13%
	სულ	3554	

91	მწმენდავები და დამხმარეები	რაოდენობა	წილი
9112	ოფისის, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დამლაგებლებიდა დამხმარეები	1163	88%
9122	მანქანის მრეცხავები	99	8%
9123	ფანჯრების მრეცხავები	33	3%
9124	სხვა ტიპის მრეცხავები	22	2%
	სულ	1317	

93	სამთო-მოპოვებითი, სამშენებლო, მრეწველობისა და ტრანსპორტის სფეროს მუშები	რაოდენობა	წილი

9333	მტვირთავები	1622	100%

94	**სამზარეულოს დამხმარეები**	**რაოდენობა**	**წილი**
9411	სწრაფი კვების კერძების მომმზადებლები	169	100%
	სულ	169	

96	**ნარჩენების გამტანები და სხვა დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშები**	**რაოდენობა**	**წილი**
9613	მეეზოვეები და მსგავსი დამწყები კვალიფიკაციის მუშები	55	12%
9623	მრიცხველების კონტროლიორები და სავაჭრო ავტომატებიდან ფულის ამკრეფები	138	31%
9629	დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშაკები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას.	253	57%
	სულ	446	

ხელოსნებსა და მონათესავე პროფესიების მუშაკების ძირითად პროფესიულ ჯგუფში
შემავალ მუშაკებზე საკვალიფიკაციო მოთხოვნა ძირითადად ითვალისწინებს პროფესიულ განათლებას და ტექნიკური უნარები დაკავშირებულია სამუშაოს ჯეროვნად შესრულებასთან. აღნიშნული ჯგუფიდან ვაკანსიების უმრავლესობა ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობების სფეროების მუშებზე (29%) მოდის. ვაკანსიების მხრივ თანაბარზომიერად არიან წარმოდგენილები: ლითონგადამამუშავებლების (21%), მშენებლობისა (21%) და საკვები პროდუქტების გადამმუშავებლების (21%) ძირითად პროფესიული ჯგუფები.
ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობების სფეროების მუშებიდან ვაკანსიები მრავლად არის ელექტრონული მოწყობილობების მექანიკოსებსა (57%) და შენობების ელექტრიკოსებზე (35%), რომელთა მიერ შესასრულებელი სამუშაოები გულისხმობს ელექტრონული მოწყობილობების მონტაჟსა და შენობებში გაყვანილობების გაკეთებას.
ლითონგადამამუშავებლებიდან ვაკანსიების სიმრავლით გამოირჩევიან: ავტოსატრანსპორტო საშუალებების მექანიკოსების (68%), შემდუღებლებისა (17%) და ლითონის მეყალიბეების (12%) ელემენტარული პროფესიული ჯგუფები.
ვაკანსიების მხრივ მრავალფეროვანია მოთხოვნა მშენებლობის სფეროს მუშებზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით მშენებლობის სექტორში კადრების მოძიება ხდება უმეტესწილად პირადი კონტაქტების საშუალებით და რეალურად მშენებლობის სფეროს მუშებზე გაცილებით დიდია მოთხოვნა. გამოქვეყნებული ვაკანსიების მიხედვით მოთხოვნაა: ხუროებზე, სახლის მშენებლებზე, ჰაერის კონდიცირების მექანიკოსებსა და ზეინკალ-სანტექნიკოსებზე.
აღნიშნული ძირითადი პროფესიული ჯგუფიდან მოთხოვნაა: მცხობელებსა და კონდიტერებზე, ასევე პოლიგრაფიული წარმოების მუშებზე.

ძირითადი ჯგუფი: ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

7	ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები	რაოდენობა	წილი
74	ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობების სფეროების მუშები	1340	29%
72	ლითონგადამმუშავებლები, მანქანათმშენებლები და მონათესავე სფეროების მუშები	987	21%
71	მშენებლობისა და მონათესავე პროფესიის მუშები	978	21%
75	საკვები პროდუქტების გადამმუშავებლები	964	21%
73	ხელოსნები და პოლიგრაფიული წარმოების მუშები	347	8%
	სულ	4616	

71	მშენებლობისა და მონათესავე პროფესიის მუშები	რაოდენობა	წილი
7119	მშენებლები და მონათესავე სფეროების მუშები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი.	368	38%
7115	ხუროები და დურგლები;	181	19%
7111	სახლების მშენებლები;	147	15%
7127	ჰაერის კონდიცირების და გაგრილების სისტემების მექანიკოსები.	124	13%
7126	ზეინკალ-სანტექნიკოსები და ზეინკალ-მილგამყვანები;	123	13%
7113	ქვისმტეხავები, ქვისმთლელები და ქვაზე მჭრელები;	30	3%
7114	ბეტონჩამსხმელი, ბეტონმომპირკეთებელი და მონათესავე სფეროების მუშები;	5	1%
	სულ	978	

72	ლითონგადამმუშავებლები, მანქანათმშენებლები და მონათესავე სფეროების მუშები	რაოდენობა	წილი
7231	ავტოსატრანსპორტო საშუალებების მექანიკოსები და შემკეთებლები;	674	68%
7212	შემდუღებლები და აირით მჭრელები	168	17%
7211	ლითონის მეყალიბეები და მეკოპეები	121	12%
7213	მვალცავები	24	2%
	სულ	987	

73	ხელოსნები და პოლიგრაფიული წარმოების მუშები	რაოდენობა	წილი
7319	ხელოსნები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი.	258	74%
7321	ბეჭდვამდელი პროცესის ტექნიკოსები;	74	21%
7322	მბეჭდავები;	10	3%
7323	ბეჭდვითი პროდუქციის საბოლოო დამმუშავებლები დამკინძავები.	5	1%

	სულ	347	

74	ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობების სფეროების მუშები	რაოდენობა	წილი
7411	შენობების და მონათესავე სფეროებისელექტრიკოსები;	474	35%
7412	ელექტრული მოწყობილობისმექანიკოსებიდა მონტიორები;	763	57%
7413	ელექტროგადამცემი ხაზების მემონტაჟეები და შემკეთებლები.	103	8%
	სულ	1340	

75	საკვები პროდუქტების გადამმუშავებლები	რაოდენობა	წილი
7512	პურისმცხობელები, კონდიტერებიდატკბილეულისდამამზადებლები;	857	89%
7511	ხორცის, თევზისადამსგავსისაკვებიპროდუქტებისგადამმუშავებლები;	85	9%
7515	საკვებიპროდუქტებისდასასმელებისდეგუსტატორებიდადამხარ ისხებლები;	19	2%
7544	ფუმიგატორები, მავნებლების და სარეველების მაკონტროლებლები;	3	0%
	სულ	964	

სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორების ძირითადი პროფესიულ ჯგუფზე საკვალიფიკაციო მოთხოვნა მოითხოვს პროფესიულ განათლებას, ასევე ზოგიერთი პროფესიული ჯგუფი საჭიროებს დამატებით ლიცენზიას (ტრაილერების მძღოლები) და სტაჟს პროფესიული საქმიანობის შესასრულებლად. ქვეყანაში სატვირთო გადაზიდვების ზრდის პარალელურად დიდია მოთხოვნა სატვირთო ავტომობილების მძღოლებზე (75%). ქვეყანაში ტურისტული ნაკადების შემოდინება ზრდის მოთხოვნას შიდა გადაყვანებზე/გადაზიდვებზე და ვაკანსიებიც მრავლად არის მსუბუქი ავტომობილის მძღოლებზე (22%). მძღოლებისა და მობილური დანადგარების ოპერატორების ქვეჯგუფიდან მოთხოვნაა: ამწეების, საწეველებისა და მსგავსი მანქანების ოპერატორებზე, ასევე გემების ეკიპაჟებზე.
აღნიშნული ძირითადი პროფესიული ჯგუფიდან ვაკანსიები მრავლად არის სტაციონალური დანადგარებისა და მანქანების ოპერატორებზე.

ძირითადი ჯგუფი: სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები

8	სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები	რაოდენობა	წილი
83	მძღოლები და მობილური დანადგარების ოპერატორები	3270	93%

81	მდგრადი სამრეწველო დანადგარების და მანაქანების ოპერატორები	215	6%
82	ამწყობები	20	1%
	სულ	3505	

81	**მდგრადი სამრეწველო დანადგარების და მანაქანების ოპერატორები**	**რაოდენობა**	**წილი**
8189	სტაციონალური დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	215	100%
	სულ	215	

82	**ამწყობები**	**რაოდენობა**	**წილი**
8211	მექანიკური მანქანების ამწყობები	20	100%
	სულ	20	

83	**მძღოლები და მობილური დანადგარების ოპერატორები**	**რაოდენობა**	**წილი**
8332	სატვირთო ავტომობილების მძღოლები	2444	75%
8322	მსუბუქი ავტომობილების, ტაქსისა და ფურგონების მძღოლები	723	22%
8343	ამწეების, საწეველებისა და მსგავსი მანქანების ოპერატორები	73	2%
8350	გემების ეკიპაჟები და მონათესავე პროფესიების მუშაკები	22	1%
8341	სასოფლო და სატყეო მეურნეობების მოტორიზებული მოწყობილობების ოპერატორები	5	0%
8321	მოტოციკლების მძღოლები	3	0%
	სულ	3270	

გამოქვეყნებული ვაკანსიების მიხედვით **მენეჯერების ძირითად პროფესიულ ჯგუფში** მაღალია მოთხოვნა ადმინისტრაციულ და კომერციულ მენეჯერებზე (70%), რომელთაგან აღსანიშნავია ფინანსური (43%) და ადამიანური რესურსის (28%) მენეჯერების ხვედრითი წილი. მოთხოვნაა ასევე, მმართველ დირექტორებზე, რესტორნებისა და სასტუმროების მენეჯერებზე.
ვაკანსიები მენეჯერულ პოზიციებზე მოითხოვს უმაღლეს განათლებას, შესაბამის სამუშაო გამოცდილებას, ლიდერულ თვისებებსა და უცხო ენების ფლობას. ზოგადად ხასიათდება მაღალი ანაზღაურებითა და გამოცხადებულ ვაკანსიებზე მაღალი კონკურენციით.

ძირითადი ჯგუფი: მენეჯერები

1	**მენეჯერები**	**რაოდენობა**	**წილი**
12	ადმინისტრაციული და კომერციული მენეჯერები	1050	70%

14	სასტუმროების, საცალო ვაჭრობისა და სხვა მომსახურებების მენეჯერები	314	21%
11	უმაღლესი რგოლის მენეჯერები, მაღალი თანამდებობის პირები და კანონმდებლები	94	6%
13	წარმოებისა და სპეციალური მომსახურების მენეჯერები	41	3%
	სულ	1499	

11	**უმაღლესი რგოლის მენეჯერები, მაღალი თანამდებობის პირები და კანონმდებლები**	**რაოდენობა**	**წილი**
1120	მმართველი დირექტორები და უმაღლესი რგოლის მენჯერები	94	100%
	სულ		

12	**ადმინისტრაციული და კომერციული მენეჯერები**	**რაოდენობა**	**წილი**
1211	ფინანსური მენეჯერი	452	43%
1212	ადამიანური რესურსების მენეჯერები	298	28%
1219	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი კომერციული მომსახურებისა და ადმინისტრაციის მენეჯერები	172	16%
1213	პოლიტიკისა და დაგეგმვის მენჯერები	65	6%
1221	გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები	48	5%
1222	რეკლამირებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერები	15	1%
	სულ	1050	

13	**წარმოებისა და სპეციალური მომსახურების მენეჯერები**	**რაოდენობა**	**წილი**
1349	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი პროფესიული მომსახურების მენეჯერები	29	71%
1346	ფინანსური და სადაზღვევო მომსახურებების ფილიალის მენეჯერები	10	24%
1345	განათლების სფეროს მენეჯერები	2	5%
	სულ	41	

14	**სასტუმროების, საცალო ვაჭრობისა და სხვა მომსახურებების მენეჯერები**	**რაოდენობა**	**წილი**
1412	რესტორნის მენეჯერები	225	72%
1411	სასტუმროს მენეჯერები	89	28%
	სულ	314	

ბიზნეს სექტორში სოფლის მეურნეობას საკმაოდ მოკრძალებული ადგილი უკავია, რაც ასევე აისახება გამოქვეყნებული ვაკანსიების მხრივ. სოფლის მეურნეობის სექტორში ადამიანების უმრავლესობა შინამეურნეობებში არიან დასაქმებულები და მათ მიერ დამატებით მოხმარებული შრომა პირად კონტაქტებს ეფუძნება, რომლის

გამოქვეყნებაც ძირითადში არ ხდება. გამოქვეყნებული ვაკანსიების მიხედვით, **სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკების ძირითად პროფესიულ ჯგუფში**, მოთხოვნაა სოფლის მეურნეობის სფეროს კვალიფიციურ მუშახელზე, კერძოდ: მებაღეებსა და შერეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მწარმოებლებზე.

ძირითადი ჯგუფი: სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები

6	**სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები**	**რაოდენობა**	**წილი**
61	ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის სფეროს კვალიფიციური მუშაკები	160	99%
62	ბაზარზე ორიენტირებული მეტყევეობის, მეთევზეობისა და ნადირობის სფეროებში დასაქმებული კვალიფიციური პირები	1	1%
		161	

61	**ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის სფეროს კვალიფიციური მუშაკები**	**რაოდენობა**	**წილი**
6113	მებაღეები; სანერგე მეურნეობის სპეციალისტები;	67	42%
6114	შერეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მწარმოებლები.	44	28%
6112	ხეხილისა და ბუჩქოვანი კულტურების მწარმოებლები;	13	8%
6122	მეფრინველეები	13	8%
6129	სხვა კატეგორიაშიჩაურთველი მეცხოველეები	12	8%
6111	მემინდვრეები და მებოსტნეები;	7	4%
6121	რძისა დასხვა ცხოველური პროდუქტების მწარმოებლები	4	3%
	სულ	160	

62	**ბაზარზე ორიენტირებული მეტყევეობის, მეთევზეობისა და ნადირობის სფეროებში დასაქმებული კვალიფიციური პირები**	**რაოდენობა**	**წილი**
6222	შიდა და სანაპირო წყლებში მეთევზეობის სფეროში დასაქმებული პირები;	1	100%

2022 წელს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (WORKNET.GOV.GE) დარეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა და გამოქვეყნებული ვაკანსიების ანალიზი

2022 წელს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში - WORKNET.GOV.GE 903 დამსაქმებელმა დაარეგისტრირა 10 017 ვაკანსია, რაც წინა წელთან შედარებით 12%-ით ნაკლებია. საშუალოდ ერთი დამსაქმებლის მიერ დარეგისტრირებული იქნა 11 ვაკანსია.

დიაგრამა 29 2021-2022 წლებში დამსაქმებლების მიერ დარეგისტრირებული ვაკანსიები და პროცენტული ცვლილება ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით



2022 წელს, გასული წლის მსგავსად ვაკანსიების სიმრავლით გამოირჩევიან ვაჭრობისა და განთავსების სექტორები, რომლებშიც მცირედით (2-3%) შემცირდა ვაკანსიების რაოდენობა. 2022 წელს ვაკანსიები საგრძნობლად გაიზარდა: დამამუშავებელი მრეწველობის (163%), ჯანდაცვის (93%), საფინანსო (357%) და ხელოვნების (576%) სექტორებში. მაშინ, როდესაც ვაკანსიები საგრძნობლად შემცირდა სხვა სახის მომსახურებებისა (-83%) და მშენებლობის (81%) სექტორებში.

დიაგრამა 30 2021-2022 წლებში დამსაქმებლების მიერ დარეგისტრირებული ვაკანსიები და პროცენტული ცვლილება ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით



2022 წელს წინა წლის მსგავსად ვაკანსიების სიმრავლით გამოირჩეოდა მომსახურებისა და გაყიდვების, დამწყები კვალიფიკაციის მუშების, დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორების, ხელოსნებისა და ოფისის დამხმარე პერსონალის ძირითადი პროფესიული ჯგუფები. წამყვანი პროფესიული ჯგუფებიდან ვაკანსიები საკმაოდ შემცირდა მომსახურებისა და გაყიდვების (-44%), ხელოსნების (-53%) და დამწყები კვალიფიკაციის მუშების (-21%) ძირითად პროფესიულ ჯგუფებში. ამის პარალელურად ვაკანსიები საგრძნობლად გაიზარდა ოფისის დამხმარე პერსონალის (534%), დანადგარების ოპერატორების (156%), ტექნიკოსებისა (107%) და მენეჯერების (93%) ძირითად პროფესიულ ჯგუფებში.

2022 წელს სისტემაში რეგისტრაცია გაიარა 5 987 სამუშაოს მაძიებელმა, რომელთაგან ქალებისა და კაცების ხვედრითმა წილმა შეადგინა შესაბამისად - 64% და 36%. რეგისტრირებულებიდან 1821 იყო ახალგაზრდა და 213 - შშმ პირი. ამასთან, 2013

წლიდან 2022 წლის ჩათვლით სისტემაში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობამ 355 987 შეადგინა.

დიაგრამა 31 2022 წელს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში დარეგისტრირებულები სქესის მიხედვით



2022 წელს რეგისტრაციის სიმრავლით გამოირჩეოდა იმერეთი (20%) და თბილისი (19%). ასევე აქტიურობა შესამჩნევი იყო სამცხე-ჯავახეთის, კახეთის, სამეგრელოსა და ქვემო-ქართლის რეგიონებში.

დიაგრამა 32 2022 წელს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში დარეგისტრირებულთა რაოდენობა და წილი რეგიონების მიხედვით



2022 წელს სსიპ „დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს“ მიერ განხორციელებული პროგრამებისა და სერვისების ფარგლებში დასაქმდა 12 645 სამუშაოს მაძიებელი, მათგან ქალების ხვედრითმა წილმა შეადგინა 46% (5756 სამუშაოს მაძიებელი).

მოცემულ წელს ყველაზე მეტი ადამიანი დასაქმდა საზოგადოებრივი სამუშაოების პროგრამის ფარგლებში, რომელიც ორიენტირებულია სოციალურად დაუცველებზე.

2022 წელს დასაქმების ხელშეწყობის პროგრამების/სერვისების ფარგლებში დასაქმების მაჩვენებელი



შრომის ბაზრის საკითხებზე ჩატარებული კვლევების მიმოხილვა

პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა, მიმზიდველობა და ხარისხის უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს. ბოლო წლებში ქვეყანაში ჩატარებული კვლევები მიგვანიშნებს პროგრესს პროფესიულ განათლებაში: ჩართულობის, ხარისხის შეფასების, დასაქმებისა და შეძენილი უნარების თავსებადობის კუთხით. შექმნილია დარგობრივი უნარების საინიციატივო ჯგუფები, რომლებიც მუშაობენ კომპეტენციების დარგობრივი რუკების შემუშავებასა და პროფესიული კვალიფიკაციების რევიზიის ახალი მეთოდოლოგიის პილოტირებაზე.

დადებითად უნდა შეფასდეს პროფესიული განათლების მიმართ საზოგადოებისა და დამსაქმებლების აღქმა, რასაც მოწმობს ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევები[1]. ამას თან ახლავს საზოგადოებაში ცნობიერების ზრდა, თუმცა არის გარკვეული ჯგუფები, რომლებიც საჭიროებენ მეტ ყურადღებას ცნობიერების გაზრდის კუთხით.

ცნობიერების ამაღლების პარალელურად მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს პროფესიულ განათლებაში ჩართულობის მაჩვენებლის გაზრდა (პროფესიულ განათლებაში ჩართული ყველა პირის თანაფარდობა ამავე რეფერენციულ ჯგუფთან), რაც საკმაოდ ჩამორჩება ევროპისა და მეზობელი ქვეყნების მაჩვენებელს. 2022 წლის მონაცემებით საქართველოში მთლიანი ჩართულობის მაჩვენებელმა 3,4% შეადგინა, რაც სამჯერ მცირეა (12,4%) ევროპის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. ასევე დაბალია პირდაპირ სკოლიდან (საშუალო საფეხურის დასრულების შემდეგ) პროფესიულ განათლებაში პირდაპირ გადასვლის მაჩვენებელი, რაც 5%-ს შეადგენს.

არაერთგვაროვანია პროფესიული განათლების სისტემაში არსებული ადგილების განაწილება დარგების მიხედვით. 2022 წელს ჩარიცხული სტუდენტების 51% ოთხი დარგის პროგრამაზე მოდის: ჯანდაცვა (15%), ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები (13%), ბიზნესის ადმინისტრირება (13%) და ტრანსპორტი (10%).

საგულისხმოა პროფესიული პროგრამების დასრულების მაჩვენებელი, რაც ბოლო წლებში კლების ტენდენციით ხასიათდება და 2022 წელს 56% შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ სწავლის დასრულების მაჩვენებელი უფრო დაბალია კაცებში, ვიდრე ქალებში. ასევე დაბალია ახალგაზრდებში, ვიდრე შედარებით მაღალ ასაკობრივ ჯგუფში. 2022 წელს ქალების 61%, ხოლო კაცების 52% დაასრულა სწავლა.

[1] წარმოდგენილი ანალიზი ეფუძნება 2023 წელს პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ მომზადებულ ანგარიშებს: „პროფესიული განათლების განვითარება საქართველოში“, „კურსდამთავრებულთა კვლევა, 2020 და 2021 წლის კოჰორტები“.

მაღალია კურსდამთავრებულთა მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის ზოგადი შეფასება. 2020-2021 წლების კურსდამთავრებულების უმრავლესობა (90%) ძალიან დადებითად ან დადებითად აფასებს კავშირს პრაქტიკულ და თეორიულ კომპონენტებს შორის, პრაქტიკის კომპონენტს და პროგრამის შინაარსის თანამედროვეობას. თუმცა კურსდამთავრებულები ასევე აღნიშნავენ, რომ საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს ელექტრონულ და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მიდგომებს.

2020-2021 წლების კურსდამთავრებულების უმრავლესობა (70%) მიიჩნევს, რომ საფუძვლიანად განივითარა პროფესიული უნარები და ცოდნა და ისურვებდა პროფესიული სასწავლებლებიდან მეტი აქცენტის გაკეთებას ტრანსფერული უნარებისა და უცხო ენების განვითარების მხრივ.

ბოლო წლებში საგრძნობლად იზრდება კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, რაც მეტყველებს თავად პროფესიული განათლების შესაძლებლობებზე. 2020-2021 წლების კურსდამთავრებულებში დასაქმების მაჩვენებელმა შესაბამისად 60% და 74% შეადგინა. 2021 წლის კოჰორატში გამოკითხულთა 42% იყო საკუთარი პროფესიით დასაქმებული, 32% - სხვა მიმართულებით, ხოლო 26% - უმუშევარი. პროფესიით დასაქმების მაჩვენებლებში ასევე ვხედავთ სხვაობას პროფესიული პროგრამის ტიპის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის და დარგების მიხედვითაც. მაჩვენებელი უფრო მაღალია დუალურ პროგრამებში და კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შემთხვევაში. ხოლო პროგრამების მიმართულებების მხრივ მაღალია დასაქმება: ჯანდაცვის, განათლების, ტექსტილის მომსახურებების, არქიტექტურისა და მშენებლობის, ტრანსპორტის კურსდამთავრებულებში. ამასთან დაბალია დასაქმების მაჩვენებელი: ხელოვნების, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების, ბიზნესის ადმინისტრირების კურსდამთავრებულებში.

კურსდამთავრებულები სამსახურის ძიების ყველაზე ეფექტიან გზად დამსაქმებელებთან პირდაპირ კონტაქტსა და განცხადებებს (ინტერნეტი, გაზეთი) მიიჩნევენ.

კურსდამთავრებულთა კვლევის თანახმად, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (51%) სრულიად კმაყოფილია სამუშაოთი, ხოლო 6 % — სრულიად უკმაყოფილო. რესპონდენტების ყველაზე დიდი ნაწილისთვის (65%-ზე მეტისთვის) სამუშაოთი კმაყოფილების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორებია პოზიტიური სამუშაო გარემო, საზოგადოებისთვის სარგებლის მოტანის შესაძლებლობა და სამუშაო უსაფრთხოება.

დასასრულს, წარმოდგენილი კვლევები მეტყველებენ ბოლო წლებში პროფესიული განათლების განვითარებაზე, როგორც საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების,

ასევე სწავლის ხარისხის შეფასებისა და შემდგომი დასაქმების კუთხით. თუმცა კვლევამ ასევე აჩვენა, რომ გამოწვევას წარმოადგენს პროგრამებზე ადგილების შევსებისა და დასრულების მაჩვენებელი.

დასკვნა

წინამდებარე ანგარიშში, ერთი მხრივ, ქვეყანაში სამუშაო ძალის არსებული სტრუქტურისა და ტენდენციების შეფასებით, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს ეკონომიკაში არსებული მდგომარეობისა და დაგეგმილი/მიმდინარე რეფორმების გაანალიზებით, შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი დასკვნა:

- ახალგაზრდებში უმუშევრობის მაღალი დონის გამოწვევის პირობებში, საყურადღებოა რომ 2022 წელს წინა წელთან შედარებით, უმუშევრობის დონის ყველა ასაკობრივ ჯგუფში შემცირების პარალელურად, უმუშევრობის დონის ცვლილება გამორჩეულად მაღალია სწორედ ახალგაზრდულ ასაკობრივ ჯგუფებში: 15-19 (-4.8%), 20-24 (-3.7%), 25-29 (-5.6%) და 30-34(-4.6%);
- 2015-2020 წლების განმავლობაში, დაბალი ბუნებრივი მატებისა და გაზრდილი მიგრაციული ნაკადის შედეგად, შრომისუნარიანი მოსახლეობის კლებადი რაოდენობის/აქტიურობის დონის შემდეგ, როგორც 2021, ასევე 2022 წელს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობისა და აქტიურობის დონის ზრდა ფიქსირდება;
- მზარდია დასაქმებისა და საშუალოთვიური შრომის ანაზღაურების მაჩვენებლები ბიზნეს სექტორში. წინა წელთან შედარებით თითქმის ყველა სექტორში გაიზარდა აღნიშნული მაჩვენებლები;
- ასევე პოზიტიური ტენდენციები შეინიშნება შრომის ბაზარზე მოთხოვნის კომპონენტის მიმართულებით, რაზეც დასაქმების კერძო სააგენტოებზე გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობა მიუთითებს;
- როგორც წინამდებარე ანგარიშში აღინიშნა, საქართველოს შრომის ბაზარზე დასაქმების მთავარი წყარო ბიზნეს სექტორია. სხვადასხვა სექტორში დაგეგმილი პროექტებისა და განსახორციელებელი სამუშაოების, ასევე მოსალოდნელი ტექნოლოგიური ცვლილებების შესაბამისად, შესაძლებელია გაჩნდეს ის ახალი მიმართულებები და პროფესიები, რომლებზეც უახლოეს მომავალში გაზრდილი მოთხოვნაა მოსალოდნელი. კერძოდ, ასეთი მიმართულებები და პროფესიები შესაძლებელია წარმოიშვას ისეთ სექტორებში როგორიცაა ენერგეტიკა (ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის მიმართულებით), კავშირგაბმულობა, ტრანსპორტირება და დასაწყობება, წყალმომარაგებისა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სექტორები. ამასთან, ახალი სამუშაო ადგილები და პროფესიებზე მოთხოვნა შესაძლოა წარმოშვას დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებამ.

რეკომენდაციები

- დასაქმებისა და უმუშევრობის დონეების კვალიფიკაციების მიხედვით გადანაწილებისთვის, შესაბამისი სტატისტიკის სრულყოფა;

- დასაქმების ეფექტიანი ხელშეწყობის უზრუნველყოფის მიზნით, ამ მიზნით შექმნილი სახელმწიფო პროგრამების შესახებ საზოგადოების, მათ შორის კერძო სექტორის, ცნობიერების შემდგომი ამაღლება;

- კერძო სექტორისა და პროფესიული სასწავლებლების თანამშრომლობის შემდგომი წახალისება სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაზე გადასვლის არსებული მასშტაბების გაზრდის მიზნით. ასევე, კერძო სექტორის (დარგობრივი მიმართულებებით) ჩართულობის ამაღლება პროფესიული განათლების სასწავლო პროგრამების შემუშავების პროცესში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;

- უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის თაობაზე ჩატარებული კვლევების შედეგების გაციფრულება მათი მოხმარების გაზრდის მიზნით;

- დასაქმების კერძო სააგენტოების ცნობიერების და ცოდნის ამაღლების ხელშეწყობა მათ მიერ წარმოებული ე. წ. „Big Data“-ს პროფესიული ჯგუფების საერთაშორისო სტანდარტთან (ISCO 2008) შესაბამისობაში წარმოების და ასევე, „უნიკალური“ ვაკანსიების სტატისტიკის წარმოების შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით.